მესამე ნაწილი

1578–1590 წლების ოსმალეთ-ირანის ომი, საქართველო და აღმოსავლეთი კავკასია

1. ოსმალეთ-ირანის ომის დაწყება და ოსმალების მიერ ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა (1578–1579)

ამასიის ზავის დადების შემდეგ ოსმალეთსა და ირანს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ორივე მხარე ცდილობდა ზავის პირობების დაცვას, თუმცა, იყო პერიოდები, როდესაც მათ შორის ურთიერთობა კვლავ იძაბებოდა.[1]

1576 წელს გარდაიცვალა შაჰ თამაზ I (1524-1576). მისი გარდაცვალების შემდეგ, სამეფო ტახტზე სასურველი უფლისწულის ასაყვანად, ყიზილბაშ ამირებს შორის ბრძოლა დაიწყო.[2]

ტახტზე ავიდა შაჰ ისმაილ II (1576-1577), მაგრამ დიდხანს არ უმეფია. 1578 წელს გამეფდა მოჰამედ ხოდაბანდე (1578-1587), ნახევრად ბრმა და სუსტი ნებისყოფის ადამიანი. ქვეყანაში შინაფეოდალური ბრძოლა გრძელდებოდა.[3]

ოსმალეთის ხელისუფლების თვალსაზრისით, ირანში დაწყებული აშლილობა ხელსაყრელი დრო იყო მის დასამარცხებლად და ამიერკავკასიის ქვეყნების დასაპყრობად. ოსმალეთის სულთანი ვარაუდობდა, რომ მას ყიზილბაშთა სახელმწიფო ეფექტურ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა და ომის დაწყება გადაწყვიტა.

თურქი ისტორიკოსების თვალსაზრისით, ირან-ოსმალეთის ომის დაწყების მიზეზი იყო ირანის მიერ 1555 წლის საზავო ხელშეკრულების პირობების დარღვევა და ოსმალეთის საზღვარზე თავდასხმა.[4]

თანამედროვე თურქი ისტორიკოსების ეს კონცეფცია არაა ახალი. ჯერ კიდევ მუნეჯიმ ბაში წერდა: „რადგან ირანის შაჰმა ისმაილმა ზავის საწინააღმდეგო საქმიანობა დაიწყო, ოსმალებმა მის წინააღმდეგ გალაშქრება განიზრახეს".[5]

„ოზდემირ ოღლუს ოსმან ფაშას ისტორიიდან" ირკვევა, რომ ოსმალეთის აღმოსავლეთში ლაშქრობის მთავარი მიზანი იყო: „დაეთრგუნათ შიიტური მიმდინარეობა და დახმარება აღმოეჩინათ სუნიტებისათვის, ებრძოლათ სეფიანების

1 მ. სვანიძე, ოსმალეთ-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან 1556-1577 წლებში, პროფ. ნ. შენგელიას დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2008, 231-236.

2 ჯ. ტაბატაძე, შერეფ ხან ბითლისელის ცნობები საქართველოს შესახებ, II, 175; B. Kütükoğlu, Osmanlı-İran Siyâsî Münasebetleri (1578-1612), İstanbul, 1993, 9-16.

3 Mufassal Osmanlı Tarihi, III, 1958, 1318; İ. H. Danişmend, İzahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi, III, İstanbul, 1961, 14.

4 Mufassal Osmanlı Tarihi, III, 1318; İ. H. Danişmend, İzahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi, III, 14; B. Kütükoğlu, Osmanlı-İran Siyâsî Münasebetleri, 17-21.

5 ნ. შენგელია, ოსმალო ისტორიკოსის მუნეჯიმ ბაშის ცნობები ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ. – ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968, 153.

წინააღმდეგ საქართველოს სამეფოსათვის, გაეხსნათ მომლოცველთა და ვაჭრთათვის გზები, დაეწესებინათ კონტროლი კასპიის ზღვაზე და ა. შ."[1]

1577 წლის 1 იანვარს ავსტრიის იმპერიასთან დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ზავი 8 წლით გაგრძელდა. იმპერიის დასავლეთი საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ოსმალეთმა ირანთან ომის დაწყება გადაწყვიტა.[2]

ირანთან ომის დაწყების მომხრეთა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ლალა მუსტაფა ფაშა (სულთან სელიმ II-ის აღმზრდელი და კვიპროსის დამპყრობი) და სინან ფაშა (იემენისა და თუნისის დამმორჩილებელი).[3] დიდვეზირთა საბჭომ, წარსულში ირანთან ომში მიღებული გამოცდილების შესაბამისად, ტერიტორიების უფრო სწრაფად აღებისა და უფრო სწრაფად ბრძოლის წარმოების მიზნით, გადაწყვიტა, ირანის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ორ ცალკე ფრონტზე ერთდროულად დაეწყოთ შეტევა. ამიტომ ომის განახლების მხარდამჭერთა დაჯგუფების წარმომადგენლები – ლალა მუსტაფა ფაშა და სინან ფაშა – ორივე ერთდროულად დაინიშნა ჯარის სარდლებად. ერზურუმის მიმართულებით შირვანის დასაპყრობად გაიგზავნა ლალა მუსტაფა ფაშა, ხოლო ბაღდადისა და შეჰრიზორის ფლანგზე – სინან ფაშა.

ორ სარდალს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების გამო 1578 წლის 2 იანვარს, სოკოლუ მეჰმედ ფაშას მონაწილეობით, გაიმართა დიდვეზირთა თათბირი, რომელზეც გადაწყდა, სინან ფაშა გადაეყენებინათ სარდლობიდან და ირანზე ლაშქრობის მთავარსარდლად დაენიშნათ ლალა მუსტაფა ფაშა, რომელსაც თავდაპირველად საქართველოსა და შირვანის დაპყრობა ჰქონდა დავალებული.[4]

ოსმალეთში ირანის წინააღმდეგ ომის დაწყებას ყველა როდი უჭერდა მხარს. ასე, მაგალითად, ოსმალეთის დიდვეზირი მეჰმედ სოკოლუ ირანთან ომის დაწყების წინააღმდეგ გამოდიოდა. მისი აზრით, ოსმალეთის ლაშქარი, ირანის სამფლობელოების დაპყრობის შემთხვევაშიც კი, ვერ შეძლებდა დაპყრობილი ტერიტორიის დამორჩილებას. ამავე დროს ომის შედეგად მოპოვებული ნადავლი ვერ დაფარავდა ომის ხარჯებს, რის გამოც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ გაუარესდებოდა.[5]

ოსმალეთის სულთანი მურად III სეფიანებთან საბრძოლველად მოემზადა. მან კვლავ გამოიყენა მართლმორწმუნე ისლამის (სუნიზმი) გამოცდილი ლოზუნგი „სალვთო ომი" „ერეტიკოსების-შიიტების" წინააღმდეგ.[6]

ოსმალთა ლაშქარი მრავალრიცხოვანი იყო. დონ ხუან სპარსელის ცნობით, ოსმალთა ლაშქარი ორასი ათას მეომარს ითვლიდა. აქედან ასი ათასი მეომარი კარგად იყო შეიარაღებული, მაგრამ სხვადასხვა ეროვნების ხალხი იყო; ლაშქარს თან ახლდა ხუთასამდე სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ ფრიგიელები, ბიფინიელები, პალესტინელები, მიდიელები, იუდეველე-

1 ნ. შენგელია, ოზდემირ ოღლუს „ოსმან ფაშას ისტორია". – ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 11, თბ., 2004, 702.

2 S. Bilge, Osmanlı Devleti ve Kafkasya, İstanbul, 2005, 59.

3 J. Hammer, Osmanlı Devleti Tarihi, Mehmed Ata'dan Prof. Dr. Abdulkadır Karahan Çevirisi, VII, İstanbul, 1985, 95; F. Ababay, Çıldır Tarihi, Ankara, 1987, 90.

4 S. Bilge, Osmanlı Devleti ve Kafkasya, 60.

5 Peçevi Tarihi, II, 36-37; Z. N. Aksun, Osmanlı Tarihi, I, İstanbul, 1994, 375.

6 А.А. Рахмани. Азербайджан в конце XVI и в XVII веках (1590-1700 гг.), Баку, 1981, 232.

ბი, პონტოელები, ეგვიპტელები, უნგრელები, აფრიკელები, ბერძნები და სხვა.[1]

თომაზო მინადოის ცნობით, ოსმალთა ლაშქარი სამასი ათას მეომარს ითვლიდა, ისქანდერ მუნში კი ასი ათასს ასახელებს.[2]

ოსმალური წყაროები და თანამედროვე თურქი ისტორიკოსები ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრის რაოდენობას საგრძნობლად ამცირებენ. ლაშქრობაში მონაწილეობა ებრძანა ხუთი ათასს იანიჩარს, რამდენიმე სიფაჰთა და ჯებელუთა ბოლუქს, მეზარბაზნეებს. მთავარსარდლის ლაშქარს უნდა შეერთებოდნენ ერზურუმის, დიარბექირის, სივასის, ყარამანიის, მარაშისა და ალეპოს ბეგლარბეგები თავ-თავისი ჯარებით.[3]

ოსმალეთის ლაშქრის მთავარსარდალმა ლალა მუსტაფა ფაშამ ერზურუმში შეკრიბა ასი ათასი მეომარი. მხოლოდ საკუთარი ძალების იმედი არ ჰქონდა და ოსმალეთმა თავის ვასალ ყირიმის ხანს მუჰამედ გირეი II-ს (1577-1584) მოსთხოვა, ლაშქრობაში მონაწილეობა მიეღო თათართა ლაშქარს.[4] ამის გამო, დაღესტნის ფეოდალ მმართველებს, კუმიკისა და კაიტაგას მმართველ ჩიტლავ შამხალუს, ტაბარსარანის მმართველ სალეხუსა და ავარეთის მმართველ ხოჯა ლავ ბურხან ად-დინუს გადასცეს წერილობითი ბრძანება – დარჩენილიყვნენ თავიანთ ლაშქართან, რათა, საჭიროების შემთხვევაში, დახმარება აღმოეჩინათ ოსმალეთისათვის შირვანისა და საქართველოს დაპყრობაში.

ოსმალეთის ლაშქრის მომარაგება სურსათ-სანოვაგითა და საჭურველით დაევალა არა მარტო ანატოლიის (ოსმალეთის აზიური ნაწილი), არამედ რუმელიის (ევროპული ნაწილი), ეგვიპტისა და კუნძულ კვიპროსის გამგებლებსაც. ევროპიდან ლაშქრისათვის გათვალისწინებული ტვირთი გემებით ტრაპიზონისა და ბათუმის ნავსადგურებში ჩაჰქონდათ, იქიდან კი ხმელეთით – ერზურუმში.[5]

თურქი ისტორიკოსების ფაჰრეთთინ კირზიოღლუსა და რემზი კილიჩის ცნობით, 1578 წელს ირანის ლაშქარი ორასი ათას მეომარს ითვლიდა და ოთხი ძირითადი ქვედანაყოფისგან შედგებოდა. პირველი ქვედანაყოფი – სადაც შაჰ ხოდაბანდესა და დიდვეზირ მირზა სელმან ჯაბირის დაქვემდებარებაში ორმოცი ათასი მეომარი იყო – აზერბაიჯანის მხარეში განლაგდა; მეორე ქვედანაყოფი – ორმოცი ათასი მეომარი სოლაქ ჰუსეინის სარდლობით – ბაღდადის მხარეში; მესამე ქვედანაყოფი – რომელიც ერევნის ბეგლარბეგ თოქმაქ ხანის სარდლობით ოც ათასზე მეტი მეომრისგან შედგებოდა – ერზურუმის მხარეში; მეოთხე ქვედანაყოფი – ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, ასი ათას მეომარს ითვლიდა, შაჰის დაქვემდებარებასა და ირანის დედაქალაქ ყაზვინში რეზერვში მყოფი ხორასანს იცავდა. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, თოქმაქ ხანი, ორმოცდახუთი ათას მეომართან ერთად, ერზურუმში იყო.[6]

დონ ხუან სპარსელის ცნობით, ირანის ლაშქარი ოცდაათი ათას ცხენოსანსა და ამდენივე ქვეითს ითვლიდა.[7]

---

1 Книга Орудж – Бека Байата, Дон-Жуана Персидского, перевод с английского, введение и комментарии О. Эфендиева и А. Фарзалиева. Баку, 1988, 84.

2 ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, 28; T. Minadoi, 83.

3 Peçevi Tarihi, II, 32; Mufassal Osmanlı Tarihi, III, 138; F. Ababay, Çıldır Tarihi, 90.

4 Mufassal Osmanlı Tarihi, III, 138; F. Ababay, Çıldır Tarihi, 91.

5 B. Kütükoğlu, Osmanlı-İran Siyâsî Münasebetleri, 37.

6 F. Kırzıoğlu, Osmanlılar'ın Kafkas Elleri'ni Fethi, 282; R. Kılıç, Osmanlı-İran Siyâsî Antlaşmaları, 92.

7 Книга Орудж – Бека Байата, Дон-Жуана Персидского, 84.

1578 წლის 5 აპრილს ლალა მუსტაფა ფაშამ სტამბოლი დატოვა და ლაშქრითურთ უსქუდარში გადავიდა, იქიდან კი გეზი აღმოსავლეთისაკენ აიღო. მას დავალებული ჰქონდა ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა და ოსმალეთისათვის დამორჩილება. ოსმალეთის ლაშქარმა გაიარა იზმირი, კონია, კაისერი, სივასი, ვანი და ერზურუმში ჩავიდა. ლაშქრის ერთი ნაწილი ზღვით გაემგზავრა და ტრაპიზონს მიადგა.

გზადაგზა ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქარს უერთდებოდნენ სხვადასხვა პროვინციის გამგებლები თავიანთი ლაშქრებითურთ.

1578 წლის 3 ივლისს ერზურუმში ჩასულმა ლალა მუსტაფა ფაშამ იქ 20 დღე დაჰყო, ლაშქარი დაასვენა და სურსათ-სანოვაგე მოიმარაგა.

კარმელიტი მისიონერების ცნობით, მან ერზურუმში სამხედრო აღლუმი მოაწყო. რამდენიმე სპარსელი ტყვე კედელზეც აიყვანეს, რომ ეჩვენებინათ ოსმალების ლაშქრის შეიარაღება და ძლიერება. ერთი ამ ტყვეთაგანი ლალა მუსტაფა ფაშამ გაათავისუფლა, დაასაჩუქრა და შაჰთან წერილით გაგზავნა. წერილის შინაარსი ასეთი იყო: „დიდად ბრწყინვალე სპარსეთის შაჰო! მე, ლალა მუსტაფა ფაშა, სულთან მურადის ვეზირი და ოსმალეთის იმპერიის მთელი ჯარების მთავარსარდალი, გაცნობებთ, რომ აქ მოსული ვარ ურიცხვი ქვეითი ლაშქრით, სამასი ათასი ცხენოსნითა და ექვსასი ზარბაზნით, ექვსი ათასი იანიჩრით, რათა დავსაჯო ისინი, ვინც თქვენი ძმის ისმაილის მოწამლვაში დამნაშავეა. ამისათვის უნდა დავიკავო ქრისტიანი ქართველების ქვეყანა, ხოლო თუ თქვენი აღმატებულება გზას გადამილობავს და ამ ხალხის დაცვას შეეცდება, მაშინ, ჩემი ბრძანების თანახმად, იძულებული შევიქნები თქვენც შეგებრძოლოთ. ეს დიდად სასახელო არ იქნება ჩემთვის, თუკი ოსმალეთის დიდი სულთანის მონა, – თქვენ, როგორც სპარსეთის მეფეს, დაგატყვევებდით; სულ საწინააღმდეგო რომ მოხდეს, თქვენ უსაზღვრო სახელს მოიხვეჭავთ მთელ ქვეყანაზე, თუკი ისეთ კაცს, როგორც მე ვარ, ტყვედ ჩაიგდებს თქვენნაირი მეფე. გნებავთ ამაზე მიპასუხეთ, ვიდრე შირვანს მივადგებოდე და ამ ხალხს დავსჯიდე."[1]

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე იბრაჰიმ ფეჩევის ცნობა: „ყიზილბაშებთან ჯერ კიდევ დაზავებასა და მშვიდობიანობაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ საქართველოს ბეგებიდან ზოგიერთები ურჩობდნენ და ამიტომ ამბობდნენ ოსმალები, მათ დასამორჩილებლად და დასაწყნარებლად მოვდივართო."[2]

ლალა მუსტაფა ფაშამ წერილები გაუგზავნა ამიერკავკასიის ქვეყნების მფლობელ-გამგებლებსაც. მათ შორის კახეთის მეფე ალექსანდრეს, ლევანის ძეს, დაუდ-ხანს, ლუარსაბის ძეს, გიორგი იმერეთის მეფეს, მანუჩარს, გურიელსა და დადიანს. ლალა მუსტაფა ფაშა მათ მოუწოდებდა, მორჩილნი ყოფილიყვნენ და ეომათ ირანის წინააღმდეგ.[3] თუ მორჩილებაზე უარს იტყოდნენ, მაშინ ქვეყნის გაპარტახებითა და მოსახლეობის ტყვედ წაყვანით იმუქრებოდა. ოსმალო სარდლის თხოვნის შესრულების შემთხვევაში კი, სულთანი ვალში არ დარჩებოდა.[4]

ლალა მუსტაფა ფაშას წერილებიდან შეიძლებოდა ისეთი დასკვნის გამოტანა, რომ ოსმალეთი კმაყოფილდებოდა მხოლოდ ვასალური დამოკიდებულებით.

---

1 A Chronicle of the Carmelites in Persia, v. 1. London, 1939, 16.

2 Peçevi Tarihi, II, 34.

3 Mufassal Osmanlı Tarihi, III, 1319.

4 Ali, Nusret-nâme, ს. ჯიქიას თარგმანის მიხედვით, 15-17.

მაგრამ მოვლენათა მსვლელობამ მალე გამოამჟღავნა მისი ნამდვილი ზრახვები.

ერზურუმიდან გამგზავრების წინ ფაშამ მოიწვია სამხედრო საბჭო, სადაც გადაწყვიტეს, დაეკავებინათ ჯერ საქართველო, შემდეგ – შირვანი და დაღესტანი.[1]

ლალა მუსტაფა ფაშა

1578 წლის 23 ივლისს ლალა მუსტაფა ფაშამ ერზურუმი დატოვა და აღმოსავლეთისკენ გაემართა. ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დანაწილებულმა საქართველომ ვერ შეძლო დამპყრობლის წინააღმდეგ თავისი ძალების გაერთიანება. საქართველოს მეფე-მთავრები თავისი პირადი ინტერესების შესაბამისად მოქმედებდნენ და თუ მათთვის ხელსაყრელი აღმოჩნდებოდა, ოსმალეთის სარდალს მორჩილებასაც კი უცხადებდნენ. მტერმა მოხერხებულად გამოიყენა საქართველოს პოლიტიკური დაშლილობა. დამპყრობელმა, მიუხედავად ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლისა, საქართველოში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია.

ოსმალეთის ლაშქარი დეევებოინუს, ჰასანყალას, ჩობან-ქოფრუს, ქანდილდაღისა და სოღანლი-დერბენდის გავლით 1578 წლის 5 აგვისტოს არტაანში ჩავიდა. როდესაც არტაანში დაბანაკდნენ, თოქმაქ ხანი ოცდაათი ათას მეომართან ერთად არტაანში მივიდა. მსტოვრისგან გაიგო, რომ ოსმალები რაიათს თავს ესხმოდნენ.[2] ოსმალეთის ჯარი აღმოსავლეთისკენ გამოემართა და ბეჰრე ჰათუნის ველზე დაბანაკდა. სწორედ, აქედან იწყებოდა საქართველოს საზღვარი. გადაწყდა, ორდუს გავლით, ქართული ციხესიმაგრეები უნდა დაეპყროთ.

თოქმაქ ხანმა ყაზვინში მყოფ შაჰ მოჰამედ ხოდაბანდეს აცნობა, რომ სარდალი ლალა მუსტაფა ფაშა საქართველოს დასაპყრობად იყო წასული. სეფიანთა მთავრობამ გადაწყვიტა, რომ თავრიზის, ჩუქურსაადისა (ერევანი) და ყარაბაღის ბეგლარბეგები ოსმალთა ლაშქარს შებრძოლებოდნენ, ხოლო ჰამზა მირზა ერაყის, სპარსეთისა და ქირმანის მეომრებით აზერბაიჯანში წასულიყო.[3]

იმავე დღეს ვარაზა ოღლუ მაჰმუდ ხანმა ვალეს ციხე ბრძოლით აიღო.[4]

თოქმაქ ხანმა ამირ ხანსა და იმამ ყული ხანს კაცები გაუგზავნა და ურჩია, როდესაც ოსმალები საზღვარზე გადმოვიდოდნენ, ერთად შეკრებილიყვნენ და საჭირო გეგმა შეემუშავებინათ. მაგრამ იმამ ყული ხანი ყარაბაღის ლაშქარს შეუერთდა, თურქმენ ამირ ხანმა კი, თოქმაქ ხანის შემადგენლობაში მყოფ

1 Mufassal Osmanlı Tarihi, III, 1319.

2 B. Kütükoğlu, Osmanlı-İran Siyâsî Münasebetleri, 53; F. Kırzıoğlu, Osmanlılar'ın Kafkas Elleri'ni Fethi, 94; İ. H. Danişmend, İzahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi, III, 19.

3 Z. N. Aksun, Osmanlı Tarihi, I, 378; B. Kütükoğlu, Osmanlı-İran Siyâsî Münasebetleri, 54-55; F. Kırzıoğlu, Osmanlılar'ın Kafkas Elleri'ni Fethi, 287.

4 B. Kütükoğlu, Osmanlı-İran Siyâsî Münasebetleri, 54-55.

უსთაჯლუს ტომთან მტრობის გამო, სელა გააჭიანურა. სანამ ამირ ხანისგან ცნობა არ მიიღო, მანამ თოქმაქ ხანმა და იმამ ყული ხანმა გადაწყვიტეს, რომ ლალა მუსტაფა ფაშასათვის საქართველოსაკენ გზა გადაეჭრათ.[1]

ოსმალებმა იენიყალას ალყა შემოარტყეს. დიარბექირის ბეგლარბეგი დერვიშ ფაშა, სარდალ ლალა მუსტაფა ფაშას ბრძანებით, ოთხას მეომართან ერთად ჩილდირის მახლობლად მდებარე ხეობის ვიწრო გასასვლელში ჩასაფრებულ დაახლოებით ორი ათას ირანელ მეწინავე ძალებთან ბრძოლაში ჩაება. ეს ბრძოლა სამი საათი გაგრძელდა. შედეგად მტრის ჯარმა ხელში ჩაიგდო მებრძოლთა უმრავლესობა და ერთი მთა მთლიანად გარემოიცვა.[2]

ერევნის გამგებელ თოქმაქ ხანის ბრძანებით სეფიანთა ლაშქარმა კარგი ტაქტიკა გამოიყენა, რათა ოსმალეთის ლაშქრისათვის გზა მოეჭრა საზღვრის მახლობლად მდებარე ხეობის ვიწრო გასასვლელში. სარდალ ლალა მუსტაფა ფაშას მიუვიდა ცნობა, რომ დიარბექირის ბეგლარბეგ დერვიშ ფაშას სეფიანებთან ბრძოლა გაუჭირდა. სარდალმა ოზდემიროღლუ ოსმან ფაშა და დულქადირლუ მუთაბზადე აჰმედ ფაშა მის დასახმარებლად გაგზავნა. ახალი ძალების მონდომებით, განსაკუთრებით, ოზდემიროღლუ ოსმან ფაშას ვაჟკაცობით, ბრძოლა ოსმალებმა მოიგეს. ხუთი ათასი სეფიანი ჯარისკაცი დაიღუპა, ათასზე მეტი კი ტყვედ ჩავარდა. ოსმალებმა ჩილდირის ბრძოლაში დაახლოებით ორი ათასი მეომარი დაკარგეს.

ამასობაში სხვა ციხეებიც აიღეს. ერზურუმის ბეგლარბეგმა ბაჰრამ ფაშამ ჩილდირზე ძალიან ქვიან და ციცაბო ადგილას მდებარე იბლისის ციხედ (შეითანის ციხედ) წოდებული პატარა ქართული ციხე დაიკავა.[3] 7 აგვისტოს, ხუთშაბათს, ოსმალეთის ჯარის მიერ გარემოცული მგელციხე როინ გოგორიშვილის, მისი ძმის – ბერი ერუშნელისა და მისი ვაჟის – ზურაბის წინამძღოლობით ქართველებმა წარმატებით დაიცვეს.[4] მაგრამ ხანგრძლივ ალყას ვერ გაუძლეს და მგელციხე ოსმალების ხელში გადავიდა.[5] ციხის გარემოცვა ორი დღე გაგრძელდა.[6] ქართული წყაროების მიხედვით, მგელციხე ოსმალეთის ლაშქრის მიერ გარემოცული პირველი ციხეა.[7]

8 აგვისტოს ოსმალებმა გააძლიერეს შეტევა და, მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა, მთელი რიგი ციხეები დაიპყრეს. „პარასკევს დღესა, 8 მარიამობისთუჳსა ქაჯის ციხე, ველი და თეთრციხე ნაგუართუჳს ურუმთა და ქაჯის ციხის მეციხოვნენი სრულიად შემოეჴოცნეს“. ი. ფეჩევი იძულებულია აღიაროს,

1 İskander Münşi, Türkman, Tarih-i Alem-ara-yi Abbasi, İreç Afşar Nşr, I, Tahran, 1334h., 233, ვუთითებთ О.А. Эфендиев-ის Азербайджанское государство Сефевидов в XVI веке, Баку, 1981-ს მიხედვით. 150; А.А. Рахмани, Тарих-и алем арай-й Аббаси как источник по истории Азербайджана, Баку, 1961, 64; B. Kütükoğlu, Osmanlı-İran Siyâsî Münasebetleri, 54.

2 F. Kırzıoğlu, Osmanlılar'ın Kafkas Elleri'ni Fethi, 93.

3 Ebubekir b. Abdullah, Şark Seferleri, nr. 366, 2a-b; N. Gümüş, XVI. Asır Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 162.

4 ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), 50; Chronique Georgienne, trc. M. Brosset, Paris, 1831, 17; ც. აბულაძე, სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან (XVI საუკუნის 80-იანი ნლები), მრავალთავი, XV, 1989, 68; N. Gümüş, Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 162.

5 N. Gümüş, Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 162.

6 იქვე, 162.

7 ანონიმი ვენეციელი ავტორი, თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1978, 48; N. Gümüş, Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 162.

რომ „მაღალი ალლაჰის შემწეობით, სასტიკი ბრძოლის შემდეგ"[1] დაიპყრეს ქართველთა ციხეები. ამ ციხეების დაპყრობის შემდეგ ოსმალთა ლაშქარი ჩილდირის ველზე დაბანაკდა.

ოსმალეთის ლაშქრის მოქმედებით შეშფოთებულმა ირანის შაჰმა სასწრაფო ზომები მიიღო მისი წინსვლის შესაჩერებლად. ჩილდირის ველზე ოსმალებს ყიზილბაშებმა საქართველოში შესასვლელი გზა გადაუღობეს. ორივე მხარე ბრძოლის სამზადისს შეუდგა. ირანელთა ლაშქარს სარდლობდნენ თოქმაქხანი, იმამ ყულიხანი და ყარახანი. 1578 წლის 9 აგვისტოს ჩილდირის ველზე ოსმალებსა და ირანელებს შორის დიდი ბრძოლა მოხდა. ირანელთა ლაშქარი 30 ათას კაცს შეადგენდა. წყაროებიდან ირკვევა, რომ ირანელთა მხარეზე ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას. ბრძოლის დაწყების წინა ღამეს კოკისპირული წვიმა მოვიდა და შეუძლებელი გახდა ოსმალთა ზარბაზნებისა და ცეცხლმსროლელი იარაღის გამოყენება, რითაც ოსმალებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ ირანელებზე. ჩილდირის ცხარე ბრძოლა ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა. ოსმალებმა 500 ტყვე და დიდძალი ნადავლი იგდეს ხელთ. 5 ათასი ყიზილბაში ბრძოლის ველზე დაილუპა.[2]

„მესხური მატიანე" ჩილდირის ბრძოლას ასე აგვიწერს: „9 შაბათსა, დილასა ძურძნასა და წინწალს შუა აზრუმისა და ვანის ფაშა მოვიდეს და სულთანი და ყარახან ბაზუქლუ, კიდეე, მულალუს ბატონი, იქ შეიყარნეს. მაჰმადი-სულთან გორაზე წამოადგა; მისი ვინც იყო, გუერც მოიყენა და სხუა ბატონები შეებნეს ურუმთა. პირველად გაიმარჯუეს ყიზილბაშთა და მერმე ურუმნი მოერივნეს და გაიმარჯუჱს"[3].

ჩალდირანზე პირველი გამარჯვების შემდეგ (1514 წ.) 64 წელი იყო გასული, როცა 1578 წლის 9 აგვისტოს სპარსელებისა და ოსმალების ძალები ჩილდირის ველზე შეებრძოლნენ ერთმანეთს. გამარჯვება ოსმალებმა მოიპოვეს.[4]

როგორც დონ ხუან სპარსელი აღნიშნავს, მუჰამედ ხან თოქმაქი, რომელიც მეთაურობდა ყიზილბაშთა ლაშქარს, შეცდომის მსხვერპლი გახდა. იგი დაეყრდნო მზვერავის ნათქვამს, ოსმალეთის მთავარ საბრძოლო ძალად დერვიშ ფაშასა და ბაჰრამ ფაშას ორმოცათასიანი ლაშქარი მიიჩნია და მათ თავს დაესხა. როცა თავშესაფრიდან მუსტაფა ფაშას სამოცდაათ ათასიანი ლაშქარი გამოვიდა და მარჯვენა ფლანგზე მყოფ ყიზილბაშებს შეებრძოლა, მუჰამედ ხან თოქმაქი მიხვდა თავის შეცდომას, მაგრამ უკვე გვიანი იყო. როგორც დონ ხუან სპარსელი აღნიშნავს, ყიზილბაშთა ლაშქარი სრული განადგურებისგან ამ სარდლის მოხერხებულობამ და დაღამებამ იხსნა. ყიზილბაშებმა დაკარგეს ლაშქრის ძირითადი ნაწილი: დაილუპა შვიდი ათასი მეომარი, ტყვედ ჩავარდა – სამი ათასი. მუჰამედ ხან თოქმაქმა მოახერხა ლაშქრის ნაწილის გადარჩენა. სიბნელით ისარგებლა და ლაშქარი მთის ბილიკით გაიყვანა.[5]

ისქანდერ მუნშის მიხედვით, სეფიანთა დამარცხების მთავარი მიზეზი ჩი-

1 Peçevi Tarihi, II, 41; იბრაჰიმ ფეჩევი, 39.
2 Peçevi Tarihi, II, 41; იბრაჰიმ ფეჩევი, 39.
3 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 48.
4 Müneccimbaşi, Derviş Ahmed Dede Efendi, Sahaif ül-Ahbar Fi Vekay'ül-a'sâr, III, İstanbul, 1285, 538-539; Peçevi Tarihi, II, 39; F. Kırzıoğlu, Osmanlılar'ın Kafkas Elleri'ni Fethi, 94; B. Kütükoğlu, Osmanlı-İran Siyâsî Münasebetleri, 55-56; R. Kılıç, Osmanlı-İran Siyâsî Antlaşmaları, 94.
5 Книга Орудж – Бека Байата, Дон-Жуана Персидского, 85.

ლდირის ბრძოლაში ყიზილბაში ამირების „მოჭარბებული მედიდურობა და თავდაჯერებულობა იყო". მათ ოსმალებთან ბრძოლა მარტივ საქმედ მიაჩნდათ და ბრძოლაში მხოლოდ ათ-თხუთმეტ ათასიანი ლაშქარი ჩართეს – მუსტაფა ფაშას ასი ათასიანი ლაშქრის წინააღმდეგ. კაზი აჰმედის ცნობით, ერთ ყიზილბაშზე ათი ოსმალო მოდიოდა.[1]

ბრძოლაში მონაწილე ორივე მხარის ჯარისკაცთა რაოდენობის შესახებ ძალიან განსხვავებული ციფრებია ცნობილი. სხვადასხვა მონაცემის მიხედვით, ირანის ჯარი 24 ათასი[2], 20-30 ათასი[3], 30 ათასი[4], 30-40 ათასი[5], 40 ათასი[6], 45 ათასი[7] კაცისგან შედგებოდა. ანონიმური იტალიური წყაროს მიხედვით, ქართველების ჩათვლით, ირანის ჯარი 57 ათასი კაცისგან შედგებოდა.[8] როდესაც თოქმაქ ხანი ჩრდილოეთისაკენ გაემართა, სოლაკ ჰუსეინი 20 ათასიანი ჯარით ბაღდადში გაგზავნეს, ემირ ხანი კი 15 ათასიანი ჯარით – ვანში.[9] ნები გუმუში წერს, რომ ამ მონაცემებს შორის ყველაზე ჭეშმარიტ რიცხვად 30 ათასი შეგვიძლია მივიჩნიოთ. რადგან ლალა მუსტაფა ფაშას წერილში – ჩილდირის ველზე გამარჯვების შესახებ – მტრის ჯარის რაოდენობა ასევე 30 ათასია. ერთი გადმოცემის მიხედვით კი – 20 ათასი.[10] ოსმალეთის ჯარის რაოდენობის აღნიშვნისას შემდეგი რიცხვებია მითითებული: 100, 200 ან 300 ათასი.[11] ნები გუმუშის აზრით, აქ, სავარაუდოდ, დასახელებულია ლაშქრობაში მონაწილე მთელი ოსმალეთის ჯარის რაოდენობა. თუმცა, როგორც ცნობილია, ოსმალეთის მთელ ჯარს, უფრო მეტიც, სარდალსაც კი ამ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია.[12]

ჩილდირის ბრძოლის მეორე დღეს, ე. ი. 10 აგვისტოს, როდესაც გაირკვა, რომ გამარჯვება ოსმალებს ხვდა წილად, მანუჩარმა გადაწყვიტა ოსმალებისათვის მორჩილება გამოეცხადებინა. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ცნობა მოეპოვება ი. ფეჩევის: „ხსენებული მთავარი (მანუჩარი – მ. ს.) 6 ათასი შეიარაღებული აზნაურით მოვიდა და მთის კალთებიდან ადევნებდა თვალყურს გამარჯვებულსაც და დამარცხებულსაც. იდგა იქ და იმედი ჰქონდა, რომ გამარჯვებული მხარე მას შეინყნარებდა. როგორც კი გაიგო, რა ბედი ენია

1 Кази Ахмед, Хуласат ат-таварих, рукопись библиотеки Мехди Баями в Тегеране, 411а, ეუთითებთ О.А. Эфендиев-ის Азербайджанское государство Сефевидов в XVI веке-ს მიხედვით, 151.

2 მუსტაფა სელანიკის ცნობები საქართველოს შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თსუ შრომები, ტ. 91, 1960, 263; Selaniki Mustafa Efendi, Tarih-i Selânikî, I, Ankara, 1999, 118; N. Gümüş, Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 165.

3 Müneccimbaşi, III. 538; Ş. Turan, „Lala Mustafa Paşa Hakkında Notlar ve Vesikalar", Belleten, XXVII, # 88, 1958, 586.

4 Ali, Nusret-nâme, 60; A. Şeref, Özdemiroğlu Osman Paşa, Tarih-i Osmani Encümeni Mecmuası, IV/22(1331), 134; İ. H. Danişmend, İzahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi, III, 21; N. Gümüş, Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 165; მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 108.

5 F. Kırzıoğlu, Kars Tarihi, İstanbul, 1953, 524; N. Gümüş, Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 165.

6 Ebubekir b. Abdullah, Şark Seferleri, 2; N. Gümüş, Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 165.

7 Hüseyn b. Mehmed, Gazavât-ı Özdemiroğlu Osman Paşa, 29; N. Gümüş, Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 166.

8 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, 23; N. Gümüş, Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 166.

9 Hüseyn b. Mehmed, Gazavât-ı Özdemiroğlu Osman Paşa, 29; N. Gümüş, Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 166.

10 Ali, Nusret-nâme, 72-75; N. Gümüş, Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 166.

11 N. Gümüş, Osmanlı-Gürcistan İlişkileri, 166.

12 იქვე, 166.

თოქმაქხანს, წამოვიდა (მანუჩარი) და დილას ღირსეული სარდლის კარავში მოვიდა".[1]

დაახლოებით იგივე შინაარსის ცნობა მოაქვს მეორე ოსმალო ისტორიკოსს მუსტაფა სელანიქს: „დედაბრის შვილის (ასე უწოდებს მანუჩარის დედას დედისიმედს – მ. ს.) სახელით ცნობილი, ლივას მფლობელი მანუჩარი, რომელიც საქართველოს სახელოვან ამირთაგანი იყო, ძლიერ და განდიდებულ აზნაურებთან ერთად უცქეროდა და ელოდა, რომელი მხარე გაიმარჯვებდა. როდესაც ისლამის თულის ფუნჯებზე გამარჯვების ნიავმა გადაიქროლა, მახვილი და შურისძიება დაინახა. მთელი თავისი ქვეშევრდომებით მორჩილებით მოვიდა, თავისი ქვეყნის ციხეების გასაღებები მთავარსარდალს მოუტანა და ჩააბარა. რადგანაც ბედნიერების ცენტრის ზღურბლს სთხოვა, რომ სურვილი აქვს პატივნაცემი გახდეს ისლამის დიდებით, გაიცა ბრძანება მისი (თხოვნის) სტამბოლში გასაგზავნად".[2]

ლალა მუსტაფა ფაშას დიდად ესიამოვნა მანუჩარის მორჩილება. მან მანუჩარი დიდი სიხარულითა და პატივით მიიღო და საზეიმო შეხვედრა გაუმართა. ოსმალეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი მთავრის მხარდაჭერას ირანელების წინააღმდეგ ბრძოლაში. დონ ხუან სპარსელის ცნობით, ლალა მუსტაფა ფაშამ მანუჩარი თბილად მიიღო და ეს ამბავი სულთანს აცნობა, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა, მომავალი დიდი ამბების დასაწყისის კარგი მომასწავებელი.[3] თ. მინადოის ცნობით, მანუჩარის მოსვლამ ოსმალთა ბანაკში გააორკეცა მუსტაფას სიხარული. მან ბრძანა, რომ ყველა ფაშა და ჯარის ნაწილების სხვა მეთაურები სრული ნესრიგით, დიდი ზეიმით, საყვირების დაკვრით, ზარბაზნების სროლითა და სიხარულით მიგებებოდნენ მანუჩარს და ლალა მუსტაფა ფაშას კარვამდე მიეცილებინათ. როცა მანუჩარი გამოცხადდა მუსტაფასთან, ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, გაამეორებინა ზარბაზნებისა და თოფების სროლა და საყვირებისა და დაფდაფების ხმაური. მართალია, ლალა მუსტაფა ფაშამ მანუჩარი დიდი სიხარულითა და პატივით მიიღო და საზეიმო შეხვედრა გაუმართა, მაგრამ მაინც უსაყვედურა და დასძინა, რომ უფრო სასიამოვნო იქნებოდა, თუ მთავარ მოწოდებას დროზე გამოეხმაურებოდა და მასთან დაუყოვნებლივ გამოცხადდებოდა.[4]

როდესაც მანუჩარი ლალა მუსტაფა ფაშასთან მივიდა და მორჩილება გამოუცხადა, ამ დროს მთავარსარდლის კარავის წინ მოიყვანეს რამდენიმე ათასი ტყვე ყიზილბაში და თავი წააცალეს. ეს აქტი, როგორც ჩანს, მანუჩარისა და მისი მომხრეების „დასამშვიდებლად" მოაწყვეს. იბრაჰიმ ფეჩევის სიტყვებით, „ეს სანახაობა ქართველებისათვის დიდი მაგალითის მომცემი და ჩამაგონებელი შეიქმნა"-ო.[5]

ამგვარად, ლალა მუსტაფა ფაშამ მანუჩარს აგრძნობინა, თუ მორჩილებაზე უარს იტყოდა, მასაც იგივე ბედი ეწეოდა, რაც დატყვევებულ ყიზილბაშებს.

მანუჩარის „მორჩილებით ხლება" ლალა მუსტაფა ფაშას გარკვეულ წარმატებას მოწმობდა, მაგრამ ეს „ხლება", მანუჩარის თვალსაზრისით, ჩანს, სულაც

---

1 Peçevi Tarihi, II, 41.

2 მუსტაფა სელანიკის ცნობები საქართველოს შესახებ, 263.

3 Don Juan of Persia, Relaciones, trad. of espanol, London, 1926, 139.

4 T. Minadoi, Historia Della Guerra Fra Turchi et Persiani Venetia: Appresso Andrea Muschio, 1594, 80.

5 Peçevi Tarihi, II, 41; იბრაჰიმ ფეჩეი, 32.

არ ნიშნავდა უპირობო მორჩილებას. ოსმალური და ევროპული წყაროების ანალიზი გვარწმუნებს, რომ „მორჩილების“ პოლიტიკურ ფორმაში სულ სხვადასხვა შინაარსს დებდნენ მანუჩარი და ხონთქრის სარდალი.

მანუჩარისა და ლალა მუსტაფა ფაშას მოლაპარაკებიდან ირკვევა, რომ მანუჩარი ოსმალებისაგან მოითხოვდა, ეცნოთ იგი სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურ საზღვრებში მოქცეული ქვეყნის მთავრად.

ჩილდირის ველზე გამარჯვების შემდეგ, ოსმალებს გზა ქართლისაკენ გახსნილი ჰქონდათ და ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქარი თბილისისაკენ გაემართა.

ამ დროს ქართლის გამგებლად გამაჰმადიანებული დაუდ ხანი იჯდა. ლალა მუსტაფა ფაშამ დაუდ ხანს წერილი გაუგზავნა და მორჩილება მოსთხოვა. ლალა მუსტაფა ფაშას წერილს დაუდ ხანმა პასუხი არ გასცა. მან ოსმალებისათვის წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლა არარეალური იყო. თბილისის მოსახლეობა ქალაქიდან გაიხიზნა, დაუდ ხანმა თბილისი გადაწვა და ლორეს წავიდა: „გაიარეს, წავიდეს თბილისის ქალაქზე, ის დაუდ ხან დაწვა და გაეცალა, ლორეს ჩავიდა.“[1]

დაცარიელებულ თბილისში ოსმალეთის ლაშქარი, ოზდემიროღლუ ოსმან ფაშას სარდლობით, 1578 წლის 24 აგვისტოს, კვირას შევიდა. ოსმალებმა აქ სამეფო ხელისუფლება გააუქმეს და თავისი წესების შემოღებას შეუდგნენ. 29 აგვისტოს პარასკევს სამი ეკლესია მეჩეთად აქციეს და ოსმალეთის ფადიშაჰის მურად III-ის სახელით სამადლობელი ხუტბა წარმოთქვეს.[2] ქათიბ ჩელების „ჯიჰან-ნუმას“ მიხედვით კი, ლალა მუსტაფა ფაშამ ორი ეკლესია აქცია მეჩეთად.[3] ოსმალებმა თბილისის საბეგლარბეგო დააარსეს და მის ბეგლარბეგად კასტამონიის სანჯაყბეგი სოლაკ ფერჰად ფაშას ძე მეჰემედ ბეგი დანიშნეს.[4]

ოსმალებმა თბილისის საბეგლარბეგოსთან ერთად გორში სანჯაყი დააარსეს და მის სანჯაყბეგად ჰუსეინ ბეგი დანიშნეს.[5]

სანამ ოზდემიროღლუ ოსმან ფაშა სამასი იენიჩერითა და 1-2 ათასი მეომრით თბილისში შევიდოდა და დაუდ ხანი ქალაქს დატოვებდა, მან (დაუდ ხანმა) მდ. მტკვარზე გადასასვლელი ხიდი დაანგრია. სარდალმა ქალაქში ხიდის აღდგენის შემდეგ შეძლო შესვლა.[6]

მუსტაფა სელანიკის ხატოვანი თქმით, ისინი „მთელი მსოფლიოს ხელმწიფეთა შურისმომგვრელ თბილისის ციხეს მიადგნენ“.[7] თავდაპირველად ლალა მუსტაფა ფაშამ თბილისის გამგებელ დაუდ-ხანს წერილი გაუგზავნა დამორჩილების მოთხოვნით. ქართული საისტორიო თხზულებების თანახმად, დაუდ ხანმა საპასუხოდ თბილისი გადაწვა და ლორეს შეაფარა თავი.[8] ოსმალო ისტორიკოსე-

---

1 ქართლის ცხოვრება, II, 522; J. Hammer, Osmanlı Devleti Tarihi, VII, 2056; F. Kırzıoğlu, Osmanlılar'ın Kafkas Elleri'ni Fethi, 292.

2 Müneccimbaşi, III, 539; Peçevi Tarihi, II, 40; B. Kütükoğlu, Osmanlı-İran Siyâsi Münasebetleri, 57.

3 Katib Çelebi, Cihan-nüma, İstanbul, 1314, 394, ვუთითებთ J. Hammer-ის დასახ. ნაშრ. მიხედვით, 2057.

4 იქვე; Âli, Nusret-náme, 97.

5 İ. H. Danişmend, İzahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi, III, 23.

6 F. Kırzıoğlu, Osmanlılar'ın Kafkas Elleri'ni Fethi, 292.

7 მუსტაფა სელანიკი, 263; Tarihi Selaniki, I, 119.

8 ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, 411; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 49.

ბი დავითის მიერ თბილისის დაწვაზე არაფერს ამბობენ. ისინი აღნიშნავენ, რომ, როდესაც დავითი ოსმალთა წინაშე თავის უძლურებას მიხვდა, ქვეყანა მიატოვა და გაუვალ მთებს შეაფარა თავი.[1]

ძველი თბილისი

ი. ჰამერის ცნობით, ლალა მუსტაფა ფაშამ თბილისის დასაცავად გამოყო სამასი იენიჩერი, ახლად ჩანერილი ასი ცხენოსანი, ორასი ულუფეჯი, ორასორმოცდაათი მეციხოვნე, სამასი მოხალისე, თხუთმეტი მიწის მუშა, ორასი მეიარაღე, სამასი-ოთხასი მეზარბაზნე, სულ ორი ათასი მეომარი (დონ ხუან სპარსელისა და თომაზო მინადოის ცნობით, ექვსი ათასი მეომარი) და ასი ზარბაზანი (დონ ხუან სპარსელის, თომაზო მინადოის და ალის „ნუსრეთ-ნამეს" მიხედვით – ორი ათასი ზარბაზანი).[2]

სანამ ლალა მუსტაფა ფაშა თბილისს აიღებდა, მან იმერეთის მეფე გიორგის შესთავაზა, დახმარება აღმოეჩინა ოსმალებისათვის თბილისის დაპყრობის საქმეში, სამაგიეროდ კი, გამარჯვების შემთხვევაში, მის შვილს თბილისს ჰპირდებოდა. ლალა მუსტაფა ფაშა იმერეთის მეფე გიორგის სწერდა: „სწრაფი მოსაზრებულობა გამოიჩინეთ, თქვენ თანამოღვაწეებთან, ხელქვეითებსა და მომხრეებთან ერთად უნდა მოახერხოთ თბილისის ციხის აღება და დაპყრობა და იგი თქვენი შვილისათვის გვიბოძებია".[3]

მიუხედავად აღნიშნული ღონისძიებების გატარებისა, ოსმალებმა ვერ შეძლეს დასახული მიზნის მიღწევა და სულ მალე იძულებული შეიქნენ, კომპრომისის გზას დასდგომოდნენ.

ქართლიდან ლალა მუსტაფა ფაშა კახეთისაკენ გაემართა. ალექსანდრე მეფე (1574-1605) მას სართიჭალასთან შეეგება და მორჩილება გამოუცხადა. მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ლალა მუსტაფა ფაშა „თანახმად საფადიშაჰო წესისა, მთელი ისლამის ჯარი თავისა ძლიერებითა და დიდებით შეეგება"[4] ალექსანდრე კახეთის მეფეს. ეს იშვიათი შემთხვევაა. ოსმალო მემატიანე აბუბექრ ბინ აბდულაჰი თავის თხზულებაში „გამარჯვებათა წიგნში", რომელიც თვითმხილველი იყო ამ შეხვედრისა, ასე აღწერს ამ შეხვედრას: „აქ ფაშას აღმატებულებას მოხსენდა, რომ რამდენიმე ათასი ურჯულო მეომრით ლევან შაჰი (ალექსანდრე – მ. ს.) მოემართებოდა. სარდლის აღმატებულებამ ლაშქარს მიმართა და მეომრები ცხენებზე ამხედრდნენ. საბრძოლო იარაღით ყველა საკმარისად აღიჭურვა, იანიჩრებიც მოირთვნენ, თოფები მოიმარჯვეს,

1 იბრაჰიმ ფეჩევი, 263; მუნეჯიმ-ბაში, 137; ისქანდერ მუნში, 30.

2 T. Minadoi, Historia Della Guerra Fra Turchi et Persiani Venetia, 83; J. Hammer, Osmanlı Devleti Tarihi, VII, 2056.

3 იქვე; Mufassal Osmanlı Tarihi, III, 1323; İ. H. Danişmend, İzahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi, III, 23.

4 Peçevi Tarihi, II, 43.

ფითილებს შეუნთეს და სამასი ზარბაზანი მოამზადეს. მეომრები რაზმებად და მწკრივებად დაეწყვნენ. წყეული ლევან შაჰი (ალექსანდრე – მ. ს.) დაახლოებით ხუთ-ექვს ათას ურჯულო მებრძოლსა და მამაც ქართველ აზნაურთან ერთად მოვიდა. თავისი მხედრიონი ერთ კუთხეში დააყენა, თავად კი ხუთას-ექვსას მამაც ურჯულოსთან ერთად დოლისა და ნაღარის თანხლებით ორად გაყოფილი ლაშქრის შუაში ჩაიარა. როცა ფაშას ალმატებულების კარავთან ცხენიდან ჩამოხტა, იანიჩრებმა თოფები დაცალეს და სამასი ცალი ზარბაზანი გაისროლეს. ისეთი ხმაური, სანახაობა და მხიარულება გაიმართა, რომ [მნახველს] გონება ებინდებოდა, წყეულ ურჯულო მეომრებს [კი] სახეზე ფერი არ ედოთ, გრძნობა დაეკარგათ და იმედი გადაეწურათ. რუმის ლაშქარმაც იაზრა, რომ ლევან შაჰი (ალექსანდრე – მ. ს.) კარავში შესვლისთანავე ამათი მოკვლისა და ნივთების დატაცების ბრძანებას გასცემდა. ყველა მზად იყო, მაგრამ სარდლის ალმატებულებამ წყეული არ მოაკვლევინა, ძვირფასი ხალათი გადააცვა და თავისსავე ვილაიეთში კვლავ სანჯაყი უბოძა. წყეული ურჯულოც ქვეყნიერების მფარველ ფადიშაჰს დაემორჩილა და შეთანხმდნენ, რომ წლიდან წლამდე ხარაჯას გადაუხდიდა და ფადიშაჰის ბრძანებას არ გადავიდოდა. ერთი-ორი სადგომი ისლამის ლაშქართან ერთად გაიარა. შემდეგ ფაშასგან ნებართვა აიღო და კვლავ თავისი ვილაიეთისკენ გაემართა.[1] ამასთან ერთად, შირვანის ლაშქრობაში მონაწილეობასაც შეჰპირდა, „უკეთუ დაუტეოს კახეთი უვნოდ".[2] კახეთის მეფემ, მოხერხებული დიპლომატიის წყალობით, ამჯერადაც გადაარჩინა ქვეყანა აოხრებას.

მოტანილი ცნობიდან ირკვევა, რომ ლალა მუსტაფა ფაშამ ალექსანდრე კახეთის მეფეს საზეიმო შეხვედრა გაუმართა. შესაძლებელია, ამ ღონისძიებით მას სურდა ეჩვენებინა ალექსანდრე მეფისათვის თავისი ჯარის ძლიერება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას ამით ოსმალო სარდალმა ალექსანდრეს დიდი პატივი მიაგო.

იბრაჰიმ ფეჩევის გადმოცემით, ალექსანდრე მეფეს ყოველწლიური სხვადასხვა გადასახადი დაეკისრა, მაგრამ თან „თავისი ქვეყნის მმართველობა" ებოძა.[3] ლალა მუსტაფა ფაშასთან კახეთის მეფის გამოცხადების შესახებ საუბრობს მუსტაფა სელანიკიც, თუმცა რაიმე გადასახადის შეწერაზე არაფერს ამბობს.[4] ისქანდერ მუნში კახეთის მეფის აღნიშნული მოქმედების ასახსნელად მის პიროვნულ თვისებებს წარმოაჩენს. მისი დახასიათებით „ალექსანდრე მეფე, რომელიც ცბიერი და წინდახედული კაცი იყო, თავისი საქმის სიკეთეს ჩაუკვირდა და ოსმალებისათვის მეგობრულად თავის მოჩვენება ამჯობინა, ლალა მუსტაფა ფაშას ნუზლი და საერი გაუგზავნა და მორჩილება გამოუცხადა".[5] როგორც შერეფ-ხან ბითლისი აღნიშნავს, კახეთის მეფეს ოსმალეთისათვის „ბაჯ ო ხარაჯი" უნდა ეხადა.[6]

ევროპულ წერილობით წყაროებში მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ კახეთის მეფე ლალა მუსტაფა ფაშას ძვირფასი საჩუქრებით შეეგება და მორჩილებაერთგულება აღუთქვა, გადასახადის შეწერის თაობაზე კი არაფერია ნათქვამი.

---

1 აბუბექრ ბინ აბდულაჰი, გამარჯვებათა წიგნი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა მ. ილურიძემ, თბ., 2006, 38.

2 ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, 578; ნ. გელაშვილი, ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, 154.

3 იბრაჰიმ ფეჩეი, 42.

4 მუსტაფა სელანიკი, 263; Selaniki Mustafa Efendi, I, 119.

5 ისქანდერ მუნში, 43.

6 შერეფ-ხან ბითლისელის ცნობები საქართველოს შესახებ, 181; Шараф-наме, II, 162.

ევროპელ ავტორთა მონაცემებს შორის შემდეგი განსხვავებაა: დონ ხუან სპარსელის, პეტრო ბიძაროსა და თ. მინადოის გადმოცემით, ალექსანდრე მეფე.ოვი:. თონ შეეგება შირვანში მიმავალ ლალა მუსტაფა ფაშას,[1] ხოლო კარმელიტების ქრონიკისა და ვენეციელი ანონიმის თანახმად, ლალა მუსტაფა ფაშამ შიკრიკი გაუგზავნა კახეთის მეფეს და მორჩილება მოსთხოვა. „სამაგიეროდ, მას მეფობის შენარჩუნებას ჰპირდებოდა. ყოველ ოჯახს თითო ცეხინი უნდა გადაეხადა, ფაშა კი თავის სენიორად ეცნო". მხოლოდ ამის შემდეგ ეახლა ალექსანდრე მეფე ოსმალთა სარდალს საჩუქრებით. იმავე დროს ისინი შირვანში ერთობლივ ლაშქრობაზე შეთანხმდნენ.[2]

მუნეჯიმ ბაშის ცნობით, საქართველოს მეფეთაგან უდიდებულესმა და უპატივცემულესმა ალექსანდრე ლევანის ძემ, რომელიც ზაგემისა და გრემის გამგებელი იყო, როცა შაჰ თამაზის დაზე იქორწინა, შაჰისგან სამეფო გვირგვინი მიიღო, მაგრამ მას არ დამორჩილებია. როდესაც სარდალმა მას ცნობა გაუგზავნა, 1578 წლის 31 აგვისტოს ლაშქრის ბანაკში მივიდა. ყველა დიდებული მათ შესახვედრად გამოვიდა და მოწიწებით მიიყვანეს სარდლის კარავში, როგორც წესი და რიგი იყო, პატივით მიიღეს და მისი ვილაიეთი უბოძეს. ალექსანდრემაც წლიურად გარკვეული რაოდენობის ხარკის გადახდა იკისრა და თავის ლაშქართან ერთად წავიდა.[3]

ფაჰრეთთინ კირზიოღლუს ცნობით, 1578 წლის 5 სექტემბრით დათარიღებული ბერათის საფუძველზე, ლალა მუსტაფა ფაშამ ალექსანდრე ხანს მისი წინაპრების სამშობლო კახეთის რეგიონი "საბეგლარბეგოს სახით" ოჯაკლიკად უბოძა და ხარაჯას გადახდა დააკისრა. მურად III-ის ზეობის პერიოდში განხორციელებული დაპყრობების დროს კახეთი ერთადერთი ოჯაკლიკი-საბეგლარბეგო იყო, რომელიც მის მმართველს ქრისტიანობით დაუმტკიცეს.[4]

ქართული, ოსმალური, სპარსული და ევროპული წყაროების მონაცემების განხილვის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ოსმალეთსა და კახეთს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობას ეფუძნებოდა. კერძოდ, ეს გამოიხატებოდა შემდეგში: მეფე ალექსანდრე ქვეყნის საშინაო საქმეებში სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდა. კახეთის მიწები არ იყო აღწერილი და ოსმალეთის დავთრებში გატარებული. ეს ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ კახეთში მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ადგილობრივი ფორმები, საგადასახადო სისტემაც ხელშეუხებელი რჩებოდა. ოსმალებს არ შეეძლოთ ქვეყნის შიგნით შესვლა, მოსახლეობის გადასახადებით დაბეგვრა ან სხვა მსგავსი ღონისძიებების გატარება. თავის მხრივ, ალექსანდრე მეფე ვალდებული იყო ოსმალთა წინაშე ორი მოვალეობა შეესრულებინა: 1. ყოველწლიურად ხარკი (ხარაჯა) ეხადა, 2. სულთნის მოწოდებისთანავე მონაწილეობა მიეღო ოსმალთა ლაშქრობაში.[5]

საქართველოს მეფე-მთავრებმა, ორმა დიდგვაროვანმა თავადმა – იმერეთის

---

1 T. Minadoi, Historia Della Guerra Fra Turchi et Persiani Venetia, 634; Don Juan of Persia, Relaciones, 144.

2 თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, 25.

3 მუნეჯიმ ბაში, 137.

4 F. Kırzıoğlu, Osmanlılar'ın Kafkas Elleri'ni Fethi, 387.

5 მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 119.

მეფე გიორგიმ და კახეთის მეფე ალექსახდრემ, ლევანის ძემ – ლალა მუსტაფა ფაშას თბილისის ეიალეთი მოსთხოვეს. ერთ-ერთ მათგანს, მემკვიდრეობით გადაცემის უფლებით, თავისი ვაჟისთვის უნდოდა, მეორეს კი – თავისთვის. ჯერ კიდევ თბილისის დაპყრობის წინ ლალა მუსტაფა ფაშა თავის წერილში ამ ქალაქის მმართველობას ალექსანდრეს შეპპირდა ისლამის მიღების პირობით. მაგრამ, როცა ლალა მუსტაფა ფაშამ დაინახა, რომ ალექსანდრე მამამისის რელიგიის ერთგული დარჩა, მხოლოდ საქონისა და ქურუმის (ქრუმი?) ციხესიმაგრეები გადასცა.[1]

ალექსანდრე კახეთის მეფესთან მოლაპარაკების შემდეგ ლალა მუსტაფა ფაშა შირვანისაკენ გაემართა. ოსმალებმა მდინარე იორი გადალახეს, საქართველოს სამხრეთ ალმოსავლეთისაკენ აიღეს გეზი და მდინარე ალაზანს მიადგნენ. მტკვრის ამ ორ შესართავს შორის მოქცეულ ადგილს შირაქის ველი ერქვა. ამ დროს ოსმალეთის ჯარი უკვე სურსათის ნაკლებობას განიცდიდა. მათ ეს ადგილი ჯარის დასასვენებლად გამოიყენეს. მაგრამ ჯარს დასვენების საშუალება არ მიეცა, რადგან ირანელებს შეეყარნენ.

ირანის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ოსმალებისათვის შირვანისაკენ მიმავალი გზა ჩაეკეტა. ყიზილბაშთა 20 ათასიანი ჯარი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ თავრიზის გამგებელი ამირ ხანი, ნახიჭევანის ვალი შერეფ ხანი, განჯის გამგებელი იმამ ყული ხანი, ერევნის გამგებელი თოქმაქ ხანი, მოადგა შირაქის ველს. მათ გადალახეს მტკვარი იმ ადგილას, რომელსაც „ქოიუნ გეჩიდი" (ცხვრის გადასასვლელი) ეწოდება და მის მახლობლად დაბანაკდნენ.

1578 წლის 9 სექტემბერს ქოიუნ გეჩიდთან დიდი ბრძოლა გაიმართა. ირანელები დამარცხდნენ. ბრძოლის ველზე დაიღუპა 5 ათასი სპარსელი, დანარჩენები გაიქცნენ. ალაზანზე გადებულ ხიდზე დიდი ჭყლეტა მოხდა, ხიდმა ველარ გაუძლო, ჩატყდა და რამდენიმე ათასი კაცი მდინარეში ჩაიხრჩო. ეს იყო ოსმალთა მეორე დიდი გამარჯვება ჩილდირის ბრძოლის შემდეგ. ამ ბრძოლას, ისევე როგორც ჩილდირისას, სარდლობდა ოზდემიროღლუ ოსმან ფაშა.[2]

ამ გამარჯვების შემდეგ გზა შირვანისაკენ ხსნილი იყო. ალაზანი სპარსელებს საქართველო-შირვანის საზღვრად მიაჩნდათ.

როცა ოსმალეთის არმია ალაზანს მიადგა, ლალა მუსტაფა ფაშამ შექის დასაპყრობად კახეთის მეფე ალექსანდრე გაგზავნა. კავკასიის მთების სამხრეთ კალთებზე მდებარე შექი ალექსანდრემ დაიპყრო და მისი სანჯაყბეგობა ალექსანდრეს ვაჟს – ერეკლეს ებოძა.

ამ ღონისძიებით ლალა მუსტაფა ფაშამ ერთგვარად დააკმაყოფილა ალექსანდრე ხანის მოთხოვნა კახეთისათვის დაკარგული ტერიტორიის დაბრუნების თაობაზე. რა თქმა უნდა, ეს ლალა მუსტაფა ფაშას მხრიდან მხოლოდ ლამაზი ჟესტი იყო, სინამდვილეში შექის ტერიტორიაზე სანჯაყის დაარსება აქ ოსმალური მართვა-გამგებლობის შემოღებას ნიშნავდა. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ლალა მუსტაფა ფაშამ შექის სანჯაყი კახეთს კი არ დაუმორჩილა, არამედ – შირვანის საბეგლარბეგოს.

«ქართული წყაროები ნაწილობრივ ადასტურებენ ოსმალურ წყაროებში

1 T. Minadoi. Historia Della Guerra Fra Turchi et Persiani Venetia, 83; J. Hammer, Osmanlı Devleti Tarihi, VII, 2056.

2 აბუბექრ ბინ აბდულაჰი, გამარჯვებათა ნიგნი, 39-40.



ლალა მუსტაფა ფაშასა და ალექსანდრე II კახთა მეფის შეხვედრა

წიგნიდან W. E. D. Allen, Russian Embassies to the Georgian Kings 1589-1605, vol. II, London, 1970.

დაცულ ცნობებს. „ახალი ქართლის ცხოვრების“ ე. წ. მესამე ტექსტში ვკითხულობთ: ალექსანდრე კახთა მეფე „შაქისა და შირვანზე წავიდეს... შირვანი დაიჭირეს, ციხე ააშენეს და ოსმან ფაშა შეაყენეს მისი ლაშქრით, და შემობრუნდნენ. ალექსანდრეს შვილი არაგვამდის მიჰყვა და დაბრუნდა“[1], ხოლო გიორგი მთაწმინდელის ოთხთავის მინაწერზე ვკითხულობთ: ოსმალებმა „შაქისი და კახეთი დაიჭირეს: ალექსანდრე მეფე კახეთისა მიეგება. წინა შემოეწყო მას. თემი (?) და შაქისი მას მისცეს“»[2]...

მდ. ალაზნის გადალახვისას იანიჩართა უკმაყოფილებამ იჩინა თავი. მათ სახიფათოდ ეჩვენებოდათ ადიდებული ალაზნის გადალახვა. მაგრამ ეს მხოლოდ საბაბი იყო. მათ ფაშას განუცხადეს: „სად მიდიხართ, ლაშქარში შიმშილობაა, ზამთარიც მოახლოებულა, ჩვენ აქედან ერთ ნაბიჯსაც კი არ გადავდგამთო“. ფაშამ, მათი გულის მოგების მიზნით, ზოგს თითო-თითო ახჩა მოუმატა, ზოგი კი დაასაჩუქრა, შედეგად მდინარეზე გადასვლა და შირვანში წასვლა გადაწყდა.[3]

შირვანის ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ, ოსმალთა ჯარი სურსათსანოვაგის ნაკლებობას აღარ განიცდიდა. 10 სექტემბერს ალექსანდრემ შექი აიღო, სადაც სურსათის საკმაოდ დიდი რაოდენობა იყო.

15 სექტემბერს ოსმალებმა უბრძოლველად დაიკავეს არეში. „შაჰის ბაღად“ წოდებულ ქალაქის ნაწილში გაჩეხეს ხეები და ციხესიმაგრე ააშენეს.

ლალა მუსტაფა ფაშამ აქედან ოსმალთა ლაშქარი სხვადასხვა მიმართულებით გაგზავნა. მათ მთელი რიგი ქალაქები დაიპყრეს: შემახა, ყაბალა, ბაქო, შაბურანი (შაბრანი), დერბენდი, მაჰმუდაბადი და სალიანი.

შირვანი მეტად მდიდარი ქვეყანა იყო. გამოირჩეოდა დაწინაურებული სოფლის მეურნეობითა და მეაბრეშუმეობით. აბუბექრ ბინ აბდულაჰი ასე აღწერს არეშს: „ბაღ-ვენახში ჩაფლული ქალაქის შუაში წყალი ჩამოდის, კარგი და გაშლილი კასაბაა, მდინარეს ორივე ნაპირზეა გაშლილი, ხილი სამყოფია, იმდენია, რომ ასეთმა ლაშქარმა ოცი დღე დაჰყო იქ, ხილი კი არ ილეოდა ბაღებში. ისე გამოიყურებოდა, თითქოს ხელი არავის უხლიაო და ბოლოს შირვანის აბრეშუმი აღნიშნულ ქალაქთანაა დაკავშირებული, ხალხიც მეტად გულუხვია“.[4]

იბრაჰიმ ფეჩევი წერს – ოსმალეთის ჯარი არეშში შევიდა: „ისეთი დოვლათიანობა და ბარაქიანობა იყო, რომ ყველამ თითო თვის, შეიძლება ორმოცი-ორმოცდაათი დღის სანოვაგე იშოვნა.“[5]

შირვან-აზერბაიჯანში ოსმალები შეუდგნენ თავიანთი წესების შემოღებას. მათ აღწერეს ქვეყანა და 5 ოქტომბერს შირვანის საბეგლარბეგო დააარსეს, რომლის გამგებლადაც ოსმან ფაშა დანიშნეს.[6]

შირვანის საბეგლარბეგოს წლიური შემოსავალი 25 მილიონ ახჩას შეადგენდა.[7] „მესხური ქრონიკა“ ამ ამბებს მოკლედ ასე გადმოგვცემს: „დაიჭირეს შირვანი,

1 ქართლის ცხოვრება, II, 523.
2 ი. ჯაჯანიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 277.
3 აბუბექრ ბინ აბდულაჰი, გამარჯვებათა წიგნი, 40.
4 იქვე, 41-42.
5 Peçevi Tarihi, II, 47-48; იბრაჰიმ ფეჩევი, 46.
6 F. Kırzıoğlu, Osmanlılar'ın Kafkas Elleri'ni Fethi, 302-303; B. Kütükoğlu, Osmanlı-İran Siyâsî Münasebetleri, 65; İ. H. Uzunçarşılı, Osmanlı Tarihi, III/1, 59.
7 Peçevi Tarihi, 48; იბრაჰიმ ფეჩევი, 48; F. Kırzıoğlu, Osmanlılar'ın Kafkas Elleri'ni Fethi, 302-303.

ციხე ააშენეს და ოსმან ფაშა შეაყენეს, მისით ლაშქრითა და შემობრუნდეს".[1]

შირვანის ბეგლარბეგობა ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობა იყო, რადგან შირვანი საბოლოოდ არ იყო დაპყრობილი და საჭირო იყო ამ ოპერაციების ბოლომდე მიყვანა. ლალა მუსტაფა ფაშამ ეს თანამდებობა რამდენიმე ოსმალო ფაშას შესთავაზა. მაგრამ არცერთს იმედი არ ჰქონდა, რომ საკუთარი ძალებით შეძლებდა შირვანის დაცვას. მაშინ შირვანისა და დაღესტანის ვილაიეთის თანამდებობაზე თანხმობა განაცხადა, თავის დროზე იემენში სახელმოხვეჭილმა, ოზდემირიოღლუ ოსმან ფაშამ. ლალა მუსტაფა ფაშამ იგი დანიშნა შირვანისა და დაღესტნის ვალად ვეზირის რანგში და ჯარის სარდლობაც მას დაავალა. ლალა მუსტაფა ფაშამ მას დაუტოვა 3 ათასი იენიჩერი, 14 ათასი ჯარისკაცი, 60 ზარბაზანი, 180 ზანდუკი იარაღის მარაგი და 6 თვის სურსათ-სანოვაგე.[2]

ლალა მუსტაფა ფაშას არეშიდან გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე დაღესტნის ბეგი 2 ათასიანი მოხალისით ეახლა და ტყვედ ჩააბარა დაღესტანში ირანის მიერ დანიშნული ვალი „ჩირაღ ხალიფა". ლალა მუსტაფა ფაშამ დაღესტანის ბეგ ჩობან ხანს შაბურანის სანჯაყი უბოძა, ხოლო მის ძმას – ახთის სანჯაყბეგობა.

კასპიის ზღვის უსაფრთხოების მიზნით „კასპიის საკაპიტანო" დაარსდა. აზოვის (აზაკის) სანჯაყბეგი მეჰმედ ფაშა 1579 წლის 27 აგვისტოს „დერბენდის ბეგლარბეგად" და „კასპიის ზღვის კაპიტნად" დაინიშნა.[3]

ოსმალთა მდგომარეობა ამ რეგიონში თანდათანობით უარესდებოდა. ყიზილბაშები ემზადებოდნენ თავდასხმისათვის.

8 ოქტომბერს ლალა მუსტაფა ფაშამ შირვანი დატოვა და ერზურუმისაკენ გაემართა.

როდესაც ოსმალეთის ლაშქარი, კახეთზე გავლით, უკან ბრუნდებოდა, „მუსტაფა ფაშამ თავიდანვე უბრძანა მთელ ჯარს, რომ თითოეული, სიკვდილით დაისჯებოდა თუ ალექსანდრეს სამფლობელოში სიმშვიდეს დაარღვევდა. ყოველი მათგანი ვალდებული იყო თავაზიანი და ზრდილობიანი ყოფილიყო".[4]

ლალა მუსტაფა ფაშას ამგვარი სიფრთხილე კახეთის მიმართ აიხსნება არა მისი ალექსანდრე მეფისადმი მეგობრული განწყობით, არამედ იმით, რომ ლალა მუსტაფა ფაშა შიშობდა, თუ ოსმალეთის ლაშქარი კახეთის სოფლებს ძარცვას დაუწყებდა, მაშინ მოსალოდნელი იყო კახელების გამოსვლა ოსმალების წინააღმდეგ, რაც კიდევ უფრო გააძლიერებდა ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს და ოსმალეთის მდგომარეობა ამიერკავკასიაში უფრო მეტად გართულდებოდა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ, როდესაც ლალა მუსტაფა ფაშა კახეთის სამფლობელოს საზღვარზე იმყოფებოდა, ალექსანდრე კახთა მეფემ ავადმყოფობა მოიმიზეზა და მასთან არ გამოცხადდა.[5]

კახეთზე გავლით ლალა მუსტაფა ფაშა თბილისში ჩავიდა. საშინელი შიმშილი იყო. ამას დაემატა ეპიდემია. მრავალი ოსმალო მეციხოვნე ავადმყოფობით

---

1 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 50.

2 აბუბექრ ბინ აბდულაპი, გამარჯვებათა წიგნი, 43; İ. H. Danişmend, İzahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi, III, 27; F. Kırzıoğlu, Osmanlılar'ın Kafkas Elleri'ni Fethi, 303.

3 S. Bilge, Osmanlı Devleti ve Kafkasya, 69.

4 T. Minadoi, Historia Della Guerra Fra Turchi et Persiani Venetia, 148.

5 იქვე.

გარდაიცვალა. თ. მინადოის ცნობით, ეს იმის გამო მოხდა, რომ თბილისის გამგებელმა მეჰმედ ფაშამ, მტრის შიშით, მეციხოვნეებს აუკრძალა სიმაგრიდან გასვლა სანოვაგის საშოვნელად. ლალა მუსტაფა ფაშამ მეციხოვნეები გაამხნევა და მათ სურსათ-სანოვაგის მარაგი დაუტოვა, თვითონ კი, ორი დღის შემდეგ, თბილისიდან გავიდა და ახლო-მახლო სოფლები დაარბია.

ქართველების მიერ ოსმალებისათვის მიყენებული ზარალი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ კონსტანტინოპოლში მყოფი საფრანგეთის ელჩი 1578 წლის 2 ნოემბერს ჰენრიჰ III ატყობინებდა: „ქალაქში გავრცელდა ხმები, თითქოს ქართველებმა ოსმალები დაამარცხეს და ლალა მუსტაფა ფაშა მოკლეს."[1]

ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობის მონაწილე და მისი აღმწერი ალი, აგრეთვე, ფეჩევი, მუნეჯიმბაში, სელანიქი და სხვები შირვან-აზერბაიჯანიდან ოსმალთა ლაშქრის სწრაფად უკან დაბრუნებასა და გზაში განცდილ დამარცხებებს ამიერკავკასიაში ადრე დაზამთრებას აბრალებენ. ეს მიზეზი უფრო თავის გამართლებას ჰგავს; სინამდვილეში, ოსმალთა წარუმატებლობა აიხსნება ამიერკავკასიის ხალხთა თავგანწირული ბრძოლით, პარტიზანული ომის ტაქტიკის მოხერხებული გამოყენებით.

ლალა მუსტაფა ფაშა, მუხრანზე გაელით, გორში ჩავიდა – „მუხრანს დადგა, გორი გაამაგრა."[2]

ქართლის საქმეების მოგვარების შემდეგ ლალა მუსტაფა ფაშამ ლაშქრის ერთი ნაწილი იმერეთისაკენ გაგზავნა. ლიხის მთაზე ოსმალებს დახვდა იმერეთის ლაშქარი, რომელმაც დაამარცხა და უკუაქცია მტერი.

ამგვარად, ოსმალთა ცდა, შესულიყვნენ იმერეთში, მარცხით დამთავრდა.

გორიდან ლალა მუსტაფა ფაშა სამცხისაკენ გაემართა და ალთუნ ყალაში ჩავიდა. ლალა მუსტაფა ფაშასთან შესახვედრად გამოცხადდა დედისიმედი, ყვარყვარესთან ერთად და სარდალს ძღვენი მიართვა. ლალა მუსტაფა ფაშამ თავაზიანად მიიღო ისინი. მან დედისიმედს მოსთხოვა, მანუჩარი და ყვარყვარე სტამბოლში წასულიყვნენ, რათა სულთანს მათთვის წყალობა ებოძა. მანუჩარისა და ყვარყვარეს სტამბოლში გაგზავნა გარკვეულ პოლიტიკურ ამბებთან იყო დაკავშირებული, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. „მესხური ქრონიკა" ამ ამბავს შემდეგნაირად გადმოგვცემს:

„აიყარა ლაშქარი ლუინობისთუჱს ერთსა, პარასკევს დღესა, მოდენა დაიწყო აწყუჱრს ვიდექით. ორშაბათს პატრონი მანუჩარ გამოეშუა, წინათ მოვიდა. სამშაბათს – პატრონი ყვარყვარე წინ მიეგებაჲ – თუითან ლალა მუსტაფა ფაშაც მოვიდა და გალმა ლეკზე დადგა.

ხუთშაბათს პატრონი დედისიმედი გავიდა ციხიდამა და ლალა მუსტაფა ფაშა ნახა. ანგარიში არ იქნებოდა, რაც ლაშქრისა და აქლემების ჯარი იყო. შაბათს, ცისკრისა აიყარა და წავიდა".[3]

1578 წლის 21 ნოემბერს ლალა მუსტაფა ფაშა ერზურუმში ჩავიდა. ამის შემდეგ ოსმალეთის ლაშქარი საზამთროდ დაბანაკდა. ფაშამ სულთან მურად

---

1 E. Charrière, Negotiations de la France dans le Levant, ou correspondances, memoires et actes diplomatiques des ambassadeurs de France a Constantinople et des ambassadeurs... a Venise, Raguse, Rome ets. v. III, 665.

2 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 49.

3 იქვე, 50.

III-ეს ვრცელი მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა ამიერკავკასიაში ჩატარებული ბრძოლებისა და დაპყრობების შესახებ. ლალა მუსტაფა ფაშას ერზურუმში ჩასვლით დამთავრდა 1578 წლის ოსმალეთის სამხედრო ოპერაციები ამიერკავკასიაში.

ირან-ოსმალეთის ომის დაწყებისთანავე, ოსმალეთი შავი ზღვის ნავსადგურებს – ტრაპიზონსა და ბათუმს – იყენებდა ირანის წინააღმდეგ მოქმედი ლაშქრისათვის სამხედრო საჭურველისა და სურსათ-სანოვაგის მისაწოდებლად. ოსმალებს ტვირთი გემებით ტრაპიზონსა და ბათუმში ჩაჰქონდათ, იქიდან კი, საქარავნო გზით, ოსმალეთის ლაშქარს აწვდიდნენ.

ქართლისა და შირვანის დაპყრობის შემდეგ, ამ ქვეყნებში განლაგებული ოსმალთა ჯარების მომარაგება სამხედრო საჭურველითა და სურსათ-სანოვაგით მეტად გაძნელდა. ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ ოსმალთა საკომუნიკაციო გზები ასეული და ათასი კილომეტრებით იყო დაშორებული ოსმალეთის მთავარ ბაზებს, არამედ იმითაც, რომ დაპყრობილი მოსახლეობა საბოტაჟს უწევდა მტერს, თავს ესხმოდა და დიდ ზარალს აყენებდა ოსმალთა სამხედრო რაზმებს, რომლებსაც სამხედრო საჭურველი და სხვა საჭირო საგნები მიჰქონდათ ამ ქვეყნებში განლაგებული ოსმალთა გარნიზონებისათვის.

ლალა მუსტაფა ფაშას, ისევე როგორც ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებას, მიზანშეწონილად მიაჩნდა, რომ საქართველოსა და შირვანის დაპყრობის წარმატებით დასაგვირგვინებლად საჭირო იყო უფრო საფუძვლიანი მომზადება. კერძოდ, საქართველოს საზღვარზე ძლიერი საყრდენი პუნქტების, სამხედრო ბაზების აშენება. ამ პოზიციის განმტკიცების მიზნით გადაწყდა ყარსის ციხესიმაგრის მშენებლობა.[1]

ლალა მუსტაფა ფაშას ბრძანებით 1579 წლის ზაფხულში ოსმალეთის ჯარი ერზურუმიდან ყარსისაკენ გაემართა და ყარსში ჩასვლის მეორე დღესვე შეუდგა ყარსის ციხის ფუნდამენტის ჩაყრის ცერემონიას.

ყარსის ციხის მშენებლობის მასალა, ტრაპიზონის გზით, სტამბოლიდანაც კი ჩამოიტანეს. ყარსის ციხის მშენებლობა დიდი მონდომებით დაიწყო. პირველ დღეს ლალა მუსტაფა ფაშასაც კი ზურგით ქვები და მიწით სავსე ტომრები უზიდია. ციხის შვიდი კოშკის აშენება და მისი მიმდებარე ნაწილის კეთილმოწყობა სათითაოდ თითო-თითო ბეგლარბეგს დაევალა. შიდა და გარე ციხის 27 ათას მეტრიანი ციხის გალავანი 28 დღეში დამთავრებულა. ამ გრანდიოზული მშენებლობის ასეთ მოკლე ხანში დამთავრება ოსმალეთის ჯარის ტექნიკურ შესაძლებლობებსა და საქმის წარმატებით დაგვირგვინების მშვენიერი მაგალითია. მშენებლობა ღამითაც კი არ წყდებოდა, ერთი თვე ჩირაღდნების შუქზე მუშაობდნენ, ერთი ამოსუნთქვით აშენდა ერზურუმის ციხეზე უფრო ძლიერი და მშვენიერი ციხესიმაგრე.

ყარსის ციხე

1 Mufassal Osmanlı Tarihi, II, 1313.

ყარსის ციხის მშენებლობა შიდა და გარე კედლების აშენებით არ დამთავრებულა. გარეთა კედლის გარშემო გაითხარა ფართო და ღრმა მიწათხრილი. ამ საქმის დასრულების შემდეგ ქალაქში აშენდა ყაზარმა ათას კაცზე, საბვგდარბეგოს შენობა-სასახლე, სამ სართულიანი კოშკი, ერთი წყლის კოშკი, ხუთი მეჩეთი, მედრესე, აბანო, წისქვილი, ხალხისათვის ჯარმა სახლებიც კი ააშენა. ყარსის წყალზე გაიდო ერთი ხის, ორი კი ქვის ხიდი. ქალაქის წყლით დაკმაყოფილების მიზნით გადმოაგდეს ყარსის წყლის ერთი შესართავი და წყლით გაივსო ციხის გარშემო სანგარი, წყალი შიდა ციხემდეც შეიყვანეს. მეორე რიგის მშენებლობა, რომელიც ასევე ერთ თვეს გაგრძელდა, 1579 წლის 22 სექტემბერს დასრულდა.[1] ყარსის ციხის მშენებლობა 1579 წლის 27 ივლისს დაიწყო. მუშაობდა 50 ათასი მუშა და ასი ათასი ჯარისკაცი. შიდა ციხე – 28 და გარე ციხესიმაგრე 58 დღეში დამთავრდა. ყარსის ციხის აშენება-დასრულებას სულთანი მურად III დიდი სიხარულით შეხვდა. ეს სტამბოლში აღინიშნა ფეიერვერკებითა და ზეიმით, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა. 1579 წლის ლაშქრობის მთელი ბიუჯეტი ყარსის ციხის მშენებლობაზე დაიხარჯა.[2]

ოსმალებმა ყარსის მიმდებარე ტერიტორიებიც გაამაგრეს.

1 Mufassal Osmanlı Tarihi, II, 1313, 1365.

2 S. Bilge, Osmanlı Devleti ve Kafkasya, 74.

3 ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, 44; ქართლის ცხოვრება, II, 524.